TERROR AS A TACTIC OF REVOLUTIONARY STRUGGLE

ტერორი, როგორც რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკა

Paata Gergaia
Professor at the Caucasus University, Doctor of Sciences,
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 40000-0002-2263-7366
(+995) 599423550; pgergaia@cu.edu.ge

Abstract

It is a fact that various political forces used and still use terror as a means of political struggle i.e political, social and even religious groups. At the time, the aristocracy and nobility used terror as a means against the Government, its officials and the representatives of the lower classes on the one hand. The government to its subordinates on the other hand, and the workers and the socialist government to the aristocracy and the bourgeoisie. Similarly, people of different faiths, depending on their religious beliefs, committed violence against those who belonged to other sects and the cycle continued. It is therefore evident that at this time, every society used terror against its opponents. As for anarchism, it can be said that it did not lag behind this political ,,barrier"; and at the end of the 19th Century they launched a full-fledged terrorist campaign in Europe and not only on the European continent but also in other parts of the world. And what is it - anarchist terror As a citizen of a modern cultural society and a researcher interested in this topic, I tried to enter this discussion with different lines. Yes, I tried to define the attitude of anarchists to terrorism.I discovered how anarchist terror differs from the terror of other political groups. The different features found leave me with the inner feeling that I will spend more time and, most importantly, much more intellectual resources on this issue in the future.

Key words: Terrorism, propaganda, expropriation, despotism.

პაატა გერგაია
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 40000-0002-2263-7366
(+995) 599423550; pgergaia@cu.edu.ge

აბსტრაქტი

ფაქტია,რომ ტერორს,როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, იყენებდნენ და დღესაც იყენებენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები: პოლიტიკური, საზოგადოებრივი და თვით რელიგიური ჯგუფებიც.თავის დროზე არისტოკრატია და თავადაზნაურობა მიმართავდა ტერორს, როგორც საშუალებას მთავრობისა და მისი ჩინოვნიკების წინააღმდეგ.ბურჟუაზია ამ საშუალებით ებრძოდა მეფეებს,არისტოკრატია თავადაზნაურობას და დაბალი ფენის წარმომადგენლებს,მთავრობა საკუთარ ხელქვეითებს, ხოლო

მუშები და სოციალისტური მთავრობა არისტოკრატიას და ბურჟუაზიას. ბოლოს და ბოლოს,სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები,რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ჩადიოდნენ ძალმომრეობას იმ პირების მიმართ, რომლებიც სხვა სექტას განეკუთნებოდნენ.

ერთი სიტყვით,თითქმის არ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ფენა, რომელსაც თვისი წარმომადგენლების სახით, არასოდეს და არსად გამოეყენებინოს ტერორი მოწინააღმდეგეების მიმართ.

რაც შეეხება ანარქიზმს,შეიძლება ითქვას,რომ არც ის ჩამორჩა ამ პოლიტიკურ ,,ფერხულს“ და მე-19 საუკუნის დამლევს მათ სრულფასოვანი ტერორისტული კამპანია გააჩაღეს ევროპის და,არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე.

და როგორია ის - ანარქისტული ტერორი?

მე,როგორც თანამედროვე კულტურული საზოგადოების მოქალაქე და ამ თემით დაინტერესებული მკვლევარი,ვეცადე განსხვავებული შტრიხებით შემოვსულიყავი ამ განხილვაში.

დიახ,ვცადე განმესაზღვრა ანარქისტთა ტერორიზმისადმი დამოკიდებულების საკითხი.

და დავადგინე - თუ რითი განსხვავდება ანარქისტული ტერორი სხვა პოლიტიკური ჯგუფების ტერორისგან.

აღმოჩენილი განსხვავებული შტრიხები კი,მიტოვებს იმის შინაგან განცდას,რომ აღნიშნულ საკითხზე მომავალში უფრო მეტი დრო და,რაც მთავარია,ინტელექტის ბევრად მეტი რესურსი დავხარჯო.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, პროპაგანდა, ექსპროპრიაცია, დესპოტია.

შესავალი

პოლიტიკური ტერორი, რასაკვირველია არ არის მე-20 საუკუნის შემოქმედება. გასულ საუკუნეებშიც ტერორიზმმა, როგორც სახელმწიფო პუტინის, ისე ინდივიდუალური თავდასხმების რანგში არაერთი სისხლიანი ფურცელი დაუტოვა კაცობრიობას. მისი ისტორია თავისი ფესვებით საუკუნეღა სიღრმეში მიდის. ამიტომ ძნელია გაარკვიო,თუ კაცობრიობის ისტორიის რომელ პერიოდში წარმოიშვა იგი.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: იცვლებოდა ეპოქები, სოციალური საფუძველი, კლასობრივი საფუძველი, კლასობრივი ძალები, პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური სისტემები, ხოლო ტერორიძმის ფენომენი ისევ და ისევ იჩენდა თავს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე , ზოგჯერ არსებითად შეცვლილი, ტრანსფორმირებული სახით, მაგრამ მისი ძირითადი ნიშან-თვისებები უცვლელი დარჩა ტერორიზმის მთელი ისტორიის მანძილზე.

მეთოდები

სტატიაში გამოყენებულია ავტორების მიერ გამოთქმულ შეხედულებებთან შინაარსობრივი ანალიზის და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

შედეგები

1. არის თუ არა ყველა ანარქისტი ტერორისტი და, ყველა ტერორისტი ანარქისტი - ამ საკვანძო საკითხზე პასუხი ღრმა ფიქრის შემდეგ, ვფიქრობ, გაცემულია.

2. ანარქისტთა ტერორიზმისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა - ამაზეც სტატიაში პასუხი ცალსახადაა გაცემული.

3. ანარქისტული ტერორის სხვა პოლიტიკური ჯგუფების ტერორისგან განსხვავებულობის წინა პლანზე წამოწევა - ეს პასაჟიც ამ სტატიის კუთვნილება გახდა.

მსჯელობა

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბრძოლა სოციალურ ფენებს, ურთიერთმოქიშპე დაჯგუფებებს შორის, ხშირად იღებდა ღია შეიარაღებული ძალმომრეობის ფორმებს, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკურ მოწინააღრმდეგეთა ფიზიკური განადგურების, ფსიქოლოგიური დათრგუნვისა და დაშინებისკენ.მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია არა მთლიანად ტერორიზმი,როგორც მოვლენა,არამედ,კერძოდ,ანარქისტული ტერორი,ანუ ის ტერორისტული კამპანია,რომელიც ანარქისტებმა მე-19 საუკუნის დამლევს გააჩაღეს.

ტერორი, როგორც რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკა

მე-19 საუკუნის მიწურულს ანარქიზმის ზოგიერთმა მოღვაწემ ტერორი აიყვანა უნივერსალური და ერთადერთი საშუალების რანგში. ანარქისტების ყველაზე პოპულარული ლოზუნგები იყო: ,,პროპაგანდა ფაქტებით" და ,,პროპაგანდა მოქმედებით".

პრაქტიკულად ეს ტერორიზმის თარეშის ტოლფასი იყო. ტერორის მომხრენი ცდილობენ, მათი ერთიანი თეორიიდან გამომდინარე, ტერორისტული აქტის არსი წარმოგვიდგინონ ისე, როგორც ანარქისტულ იდეათა პროპაგანდის განსაკუთრებული და ამასთანავე, ყველაზე წარმატებული საშუალება. შემთხვევით არ უწოდებენ მას ,,პროპაგანდას მოქმედებით".

,,პროპაგანდა მოქმედებით" - ამ ტერმინის ავტორად მიჩნეულია ფრანგი ინჟინერი ბურუსი. რევოლუციური ბრძოლის ამ ტაქტიკამ ოფიციალური აღიარება ლონდონში 1881 წელს ანარქისტთა კონგრესზე პოვა, სადაც მიიღეს ანარქისტთა ტერორისტული კამპანიის ოცწლიანი პროგრამა.

ამ კამპანიის გაშლასთან ერთად, ტერორი ლამის ანარქისტთა რევოლუციური ბრძოლის ერთადერთ საშუალებად იქცა.

როცა საუბარია რევოლუციური ბრძოლის ისეთ ტაქტიკაზე, როგორიცაა ,,პროპაგანდა მოქმედებით", ძალაუნებურად გახსენდება, ე.წ. ,,რევაშოლის ეპოქა". ეს იყო ნამდვილი ეპიდემია ტერორიზმისა, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა. იგი 90-იანი წლების დამდეგს წამოიწყო ფრანგმა ანარქისტმა რევაშოლმა, რომლის სახელიც ლამის ტერორიზმის სინონიმად იქცა. 1892 წელს რევაშოლმა თანმიმდევრობით განახორციელა სამი აფეთქება, რომლებმაც შეძრეს მთელი პარიზი.სიკვდილმისჯილი რევაშოლი ეშაფოტზე აყვანისას გაიძახოდა: ,,გაუმარჯოს ანარქიას!. გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას!'

სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე ხნით ადრე რევაშოლმა ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა პარიზის ერთ-ერთ გაზეთში: ,,ჩვენი მიზანია ტერორის ქვეშ გვყავდეს მდიდრები, როცა ჩვენ გავანადგურებთ მათ, ჩვენ მივუბრუნდებით ფინანსისტებსა და პოლიტიკოსებს. მოგვეპოვება საკმაო რაოდენობით დინამიტი, რათა ავაფეთქოთ ყოველი სახლი, რომელშიც ცხოვრობს მოსამართლე".

ესეც ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ანარქისტული ტაქტიკისა ,,პროპაგანდა მოქმედებით" (Кларов И., 1985, გვ. 127).

შეიძლება ითქვას, რომ ანარქისტული ტაქტიკის - ,,პროპაგანდა მოქმედებით" - პრაქტიკული გამოყენების ინიციატორებად იტალიელი ანარქისტები ითვლებიან.

მოგვიანებით იდეა - ,,პროპაგანდა მოქმედებით" - აიტაცეს ფრანგმა ანარქისტებმაც. სწორედ იტალიელი და ფრანგი ანარქისტები ითვლებიან ანარქისტული ტაქტიკის ამ იდეის მამამთავრებად.

ტერორისტული აქტები ერთიმეორის მიყოლებით ხორციელდებოდა: 1878 წელს ანარქისტები ორჯერ დაესხნენ თავს გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ პირველს. 1881 წელს ანარქისტმა გიტომ მოკლა აშშ-ის პრეზიდენტი გარფილდი.

1882 წელს ტერორისტის ტყვიამ შეიწირა ირლანდიის ვიცე-მონარქი ლორდი კავენდიში.1892 წელს პალასის მსხვერპლი ხდება კატალონიის გუბერნატორი კამპოსი.

1894 წელს იტალიელმა ტერორისტმა კაზერიომ სიცოცხლეს გამოასალმა საფრანგეთის პრეზიდენტი სადი კარნი, რომელმაც უარი თქვა ფრანგი ტერორისტის ემილ ანრის შეწყალებაზე. 1897 წელს მოკლეს ესპანეთის პრემიერ-მინისტრი კანოვას დეკ კასტილიო (ესპანეთის სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და ისტორიკოსი, ხელს უწყობდა ქვეყანაში კონსტიტუციურ-მონარქისტული სისტემის განმტკიცებას, სასტიკად ახშობდა მუშათა და გლეხთა გამოსვლებს).

ამ გახმაურებული მკვლელობის ავტორი ანჯიოლილო სასამართლო პროცესზე დაჟინებით ითხოვდა,რომ მისთვის მკვლელი არ ეწოდებინათ და მხოლოდ შურისმაძიებლის სახელით მოეხსენებინათ (თუ რატომ ითხოვდა ის ამას, ჩვენ ამის თაობაზე ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოგახსენებთ).

1898 წელს ანარქისტ ლუჩენის ხელით კვდება ავსტრიის დედოფალი ელისაბედი. 1900 წელს ანარქისტმა ბრეშმა მოკლა იტალიის მეფე უმბერტო პირველი. 1901 წელს ანარქისტმა ჩოლგაშმა სიცოცხლეს გამოასალმა აშშ-ს პრეზიდენტი მაკ-კინლი. 1896 წელს ესპანეთის მეფე ალფონსო მეცამეტის კორტეჟს ესროლეს ბომბი. მეფე და დედოფალი გადარჩნენ, მაგრამ აფეთქებამ 40 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (Забрежнев В., 1907, გვ. 29).

ამ შთამბეჭდავ სიას შეიძლება დაემატოს საფრანგეთის პარლამენტში ბომბის აფეთქება 1893 წელს.1881-1884 წლებში ავსტრიაში უამრავი ტერორისტული აქტი განხორციელდა.

1905 წელს აიდაჰოს შტატის გუბერნატორის სტეინბერგის მოკვლა.

ყოველივე ამის მთავარ შედეგად სახელმწიფო ტერორის გაძლიერება იქცა.

ტერორის ფაქტორი არც ქართველი ანარქისტებისთვის ყოფილა უცხო და მიუღებელი. თუმცა, ამ მხრივ, მათ შორის იყო შესამჩნევი განსხვავება. წერეთელ-ჩერქეზიშვილის ჯგუფი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, ტერორს არ მიიჩნევდა რევოლუციური ბრძოლის ერთადერთ, გადამწყვეტ საშუალებად და შედარებით ზომიერ პოზიციას იჭერდა ამასთან დაკავშირებით. ხოლო მეორე ჯგუფი, ძმები გოგელიების ხელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობას იღებდა ანარქისტულ-ტერორისრული ჯგუფების შექმნასა და მათ საქმიანობაში. ,,ჩვენ, ერთადერთ ანარქო-კომუნისტებს შეგვიძლია მივცეთ მაგალითი მასებს, თუ როგორ შეიძლება მოქმედება,- წერდა ანარქისტული გაზეთი ,,ცის ნამი",- რევაშოლის, ვალიანუს, კარიეროს, ბრეშის, რეინსდორფის და სხვების აქტებმა მოგვცეს ნათელი მაგალითი, თუ როგორ უნდა მოქმედება ინდივიდუალურად" (Кларов И. , 1985, გვ. 6).

1903 წელს ქალაქ ჟენევაში ანარქისტების ბეჭდვით ორგანოში ,,ხლებ ი ვოლია"-ში გამოქვეყნდა გ. გოგელიას სტატია ტერორის შესახებ, სადაც მას აუცილებლად და დროულად მიაჩნდა ანტიბურჟუაზიული, ინდივიდუალური და მასობრივი ტერორი.

გოგელიასათვის პირადი აქტი დროებითი სტადიაა, რომელიც შემდგომში უნდა შეცვალოს კოლექტიურმა, ანუ სახალხო ტერორის ეპოქამ.

აი რას ამბობს იგი:ნ,,სოციალური რევოლუცია შეუძლებელია განხორ_ ციელდეს მხოლოდ რამდენიმე დინამიტით, იგი შეუძლია მხოლოდ აჯანყებულ ხალხს იარაღით ხელში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იქნება, პირადი აქტი შეიცვალოს კოლექტიურით, რაც საბოლოოდ გაანადგურებს კაპიტალისტურ სისტემას" (გაზ. ,ცის ნამი“, 1908, გვ. 3-6).

უკვე გოგელიას ცნობით, ქუთაისში ანარქისტები იარაღით ხელში შეიჭრნენ სოციალ-დემოკრატების გაზეთ ,,შიკრიკის" რედაქციაში და ,,აიღეს" მისგან ,,ჯარიმა 500 მანეთის ოდენობით" აშკარად ცრუ ცილისწამების გავრცელებისათვის იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც რეაქცია მეთვალყურეობდა და რომლებიც საშიშროების ქვეშ იმყოფებოდნენ სისტემის მხრიდან" (გაზ. ,ცის ნამი“, 1908, გვ. 12-14).

პირველი რევოლუციის პერიოდში 1905-1907 წწ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რამდენიმე ანარქისტულ-ტერორისტული ჯგუფი მოქმედებდა. ასეთი ჯგუფები იყო: ,,ლასტოჩკა", ,,ავანგარდი", ,,მუშათა ანარქისტული ჯგუფი" და სხვა.როგორც ისტორიკოსი კომინი აღნიშნავს ქუთაისში მოქმედებდა ჯგუფი ,,კომუნა", რომელმაც საკუთარი სტამბა მოაწყო ექსპროპრიაციის ხარჯზე ადგილობრივი ბურჟუას მიმართ. სტამბაში დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი და ბროშურა , მათ შორის ,,სამხილი სოციალ-დემოკრატების", ,,ბატონის" ,,სოციალიზმის პრინციპები" და სხვა (Гогелия Г., 1903, გვ. 78).

ამ ჯგუფების ძირითადი საქმიანობა ტერორისტული აქტების მოწყობაში, სახაზინო თუ პირადი ფულის ექსპროპრიაციაში, გამომძალველობაში გამოიხატებოდა.ერთ-ერთი ასეთი ტერორისტული ჯგუფის აქტივში ჩაიწერა 1908 წელს საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა.ეს მკვლელობა განხორციელდა ავტოკეფალიის მომხრეთა დაკვეთით, ხოლო განმხორციელებლად სახელდებოდა ,,მუშათა ანარქისტული ჯგუფის" წევრი ხიზანიშვილი (Лакер И., 1979, გვ. 170).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება. კერძოდ, პროფ. ვ. გურულის შეხედულებით, ნიკონის მკვლელობა განხორციელდა სოციალ-დემოკრატების ხელით (გურული ვ., 1993, გვ. 306).

ფულის ექსპროპრიაციით და გამომძალველობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯგუფი ,,ავანგარდი“ და ,,ქართველ ანარქისტთა ჯგუფი". ,,ავანგარდის" წევრბმა ფულის გამოძალვის მიზნით 1909 წელს გაიტაცეს ღვინით მოვაჭრე ტიტე ფეფელოვის შვილი.

მოგვიანებით, ფულის გადაუხდელობის გამო, ტიტე ფეფელოვი სიცოცხლეს გამოასალმეს (ფონდი 94, სცსსა, საქმე 306).

1907წელს თბილისის გუბერნიაში გაიძარცვა დუშეთის ხაზინა, საიდანაც გაიტაცეს 315 ათასი რუსული მანეთი.ეს აქტი რუსეთში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე მსხვილმასშტაბიან ექსპროპრიაციადაა მიჩნეული. ,,იარაღი, ფული, სახსარი თავდაცვისათვის - ასეთ გარემოებაში სოც. ფედერალისტთა მემარცხენე ჯგუფში, რომელიც უფრო მოიანარქისტებდა და უმთავრესად ახალგაზრდებისგან შესდგებოდა, დაიბადა აზრი ფულის შოვნისა, იარაღის შეძენისას და სტამბის მოსაწყობად" (ფონდი 394, სცსსა, საქმე 202),იგონებს ამ გახმაურებული ძარცვის ერთ-ერთი მონაწილე იოსებ გედევანიშვილი.

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა კახეთის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ჯგუფი ,,ხლებ ი ვოლია", რომელიც ,,მუშათა ანარქისტული ჯგუფის" განაყოფს წარმოადგენდა და მას ხელმძღვანელობდა.

ამ ჯგუფის აქტივში ჩაიწერა 1910 წლის 27 იანვარს თავდასხმა ვაჭარ მილოვზე ფულის გამოძალვის მიზნით. ასევე ფულის გამოძალვის მიზნით თავდასხმა ღვინით მოვაჭრე მამულოვზე და მის ბიძაშვილზე, კაპიტან ლორის-მელიქოვზე. აღნიშნული ოპერაცია მამულოვისა და მისი ბიძაშვილის სიკვდილით დამთავრდა (ფონდი 94, სცსსა, საქმე 287).

ქართველ ანარქისტთა ლიდერები, კერძოდ, შალვა და გიორგი (კომანდო) გოგელიების თეორიულ ხელმძღვანელობას უწევდნენ თბილისში მოქმედ ანარქისტულ ჯგუფებს, მხარს უჭერდნენ მათ მიერ ორგანიზებულ მასობრივ ექსპროპრიაციებს, ამასთან, უარყოფდნენ ჩატარებულ ოპერაციებში საკუთარ მონაწილეობას.თუმცა, მათი სახელები ფიგურირებდა 1909 წელს ფულის გამოძალვის მიზნით მდიდარ ბოგდან იუზბაშევის შვილის მოტაცების საქმეში (ფონდი 94, სცსსა, საქმე 306).

მიუხედავად ყოველივე ამისა, რა თქმა უნდა, ანარქიზმის მხოლოდ ტერორისტულ მოღვაწეობაზე დაყვანა შეცდომა იქნებოდა. ის საკმაოდ რთული პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომელსაც ჰქონდა წინააღმდეგობრივი ტენდენციები.

ანარქიზმისა და ტერორიზმის გაიგივება ორ შეცდომას შეიცავს: 1) ყველა ანარქისტი არ არის ტერორისტი და 2) ყველა ტერორისტი არ არის ანარქისტი. აქედან გამომდინარე, ტერორიზმს ყველა ანარქისტი ლიდერი როდი ქადაგებდა.ბევრმა მათგანმა არ მიიღო ტერორისტული ბრძოლის პრინციპი. ნაწილი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მისი გამოყენება. ნაწილი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გარ-

კვეული თეორიული და ზნეობრივი მოსაზრებებით, იფარგლებოდნენ მხოლოდ სამეცნიერო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობით. სხვებმა, რომლებიც თეორიულად მხარს უჭერდნენ ტერო_რიზმს, პრაქტიკული შედეგების ხილვისთანავე უარყვეს იგი. ხოლო ტოლსტოელები კი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ ძალაუფლებას ბოროტებად მიიჩნევდნენ, და ამდენად, ანარქიზმის ძირითად კონცეფციას იზიარებდნენ, გამორიცხავდნენ ყოველგვარ ძალადობას.

არსებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი ზიზღი, რაც იდეოლოგიური ფორმით კაპიტალისტური სისტემისადმი სიძულვილში გამოიხატებოდა, ექსპლოატაციის რადიკალური ფორმები, სოციალურ წინააღმდეგობათა სიმძაფრე, კლასობრივ ძალთა განლაგება, მონარქიული დესპოტიზმი, პოლიციური თვითნებობა და ა.შ. განსაზღვრულ ეტაპზე, განაპირობებდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ანარქისტთა ტერორისტული აქტების აუცილებლობას, ზოგჯერ კი - ასეთ აქტებს გარდაუვალს ხდიდა. არადა, ყველა დროში სახალხო მჩაგვრელებისადმი ზიზღი მუდამ ძლიერი იყო კაცობრიობაში, და აი, მერამდენედ თავგანწირული ადამიანები უზარმაზარი რისკის ფასად ცდილობდნენ მოესპოთ ისინი, ვინც განასახიერებდნენ ძალმომრეობას.ამიტომ, უკვე, მონარქებსა და დესპოტებს, ხალხის მჩაგვრელებს, არ შეეძლოთ მშვიდად ცხოვრება თავიანთ მდიდრულ პალატებში, რადგან ახლა მათ მუდმივად ელანდებოდათ უჩინარი შურისმაძიებელი, რომელიც დინამიტის გამაყრუებელი აფეთქებით ნიშანს მისცემდა თავისუფლების მტრებს, რომ მათი ჯერიც დადგა.

მაგრამ ყველა ასეთ შემთვევაში იღუპებოდნენ შურისმაძიებელი ტერორისტებიც. კაცობრიობის მართლმსაჯულების აქტი დესპოტზე ხორციელდებოდა, მაგრამ მას ყოველთვის თან სდევდა შურისგება და ანგარიშსწორება ხელისუფალთა მხრიდანაც.

აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფების ჭიდილი უზარმაზარ სახელმწიფო მანქანასთან, საიდუმლო და არანორმალური ცხოვრება იატაკშვეშეთში, სენსაციურ-სათავგადასავლო სიუჟეტები, თავგანწირვა და ა.შ. ,მშრომელთა გარკვეულ ნაწილში სიმპათიას, თანაგრძნობას იწვევდა. ეს ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ანარქო-ტერორისტთა ცალკეული დარტყმები მიმართული იყო უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების, მათი მტრების წინააღმდეგ. ამ ნაწილში მათ მოიხსენიებდნენ, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ ,,მამაც მებრძოლებს", ,,მშრომელთა ინტერესების დამცველებს" და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ანარქო-ტერორისტები საზოგადოებრივი ცხოვრების, ანუ არსებული საზოგადოებრივი სისტემის ძალისმიერი მეთოდებით შეცვლის მომხრეებად გამოდიოდნენ.

მაგრამ ანარქისტულმა ტერორმა ვერ მოიშალა უზარმაზარი სამხედრო-პოლიტიკური და ჩინოვნიკურ-ბიურიკრატიული სახელმწიფო მანქანა. პირიქით, ასეთი ტერორი ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა სახელმწიფო ძალაუფლებას, რადგანაც იგი (ტერორი) სახელმწიფოს ართმევს მხოლოდ რამდენიმე თანამდებობის პირს, სამაგიეროდ ხელში უგდებს სამხედრო მდგომარეობასა და განსაკუთრებულ უფლებებს. ასეთი ტერორი მავნე გახდა

იმითაც, რომ ასეთ აქტს მოჰყვა რეპრესიების გაძლიერება რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა მიმართ, უმიზნო და გაუმართლებელი მსხვერპლი მათ მხრიდან.

აქედან გამომდინარე, რწმენა უტოპიური სოციალური მითისა, რომ სწორედ ტერორით მიაღწევდნენ სასურველ მიზანს (შეცვლიდნენ საზოგადოებრივ წყობილებას, დაანგრევდნენ კაპიტალიზმს და ა. შ.), მხოლოდ მითად დარჩა.

ანარქისტებმა ვერ შეძლეს შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ გონებრივი და ზნეობრივი ზემოქმედებით მშრომელთა მასებზე და მიმართეს უკიდურეს ზომას - ტერორის ტაქტიკას, რაც მაშინაც და დღესაც, ხშირად გამხდარა მათი დაუნდობელი კრიტიკის საბაბი.

ანარქისტების მიერ დასავლეთ ევროპაში განხორციელებულმა ხშირმა თავდასხმებმა, მართალია, საბაბი მისცა არაერთ საგაზეთო პუბლიკაციას, მაგრამ საგაზეთო სტატიები იშვიათად ეხებოდნენ საკუთრივ ანარქისტული დოქტრინის და, კონკრეტულად ანარქისტული ტერორის არსს.

გამომდინარე აქედან, ხშირად აიგივებდნენ ანარქიზმს ტერორიზმთან, ანუ ანარქიზმი მათთვის ლამის ტერორიზმის სინონიმად იყო ქცეული, არადა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ორი ცნება ნამდვილად არ არის იდენტური.

გამომდინარე აქედან, რთული შეიქმნა ანარქისტთა ტერორიზმისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა. ამას ისიც დაემატა, რომ არც ერთ ანარქისტ-თეორეტიკოსს არა აქვს კონკრეტულად ტერორიზმისადმი მიძღვნილი ნაშრომი.თუმცა, სტატიებსა და წერილებში გამოთქმული შეხედულებები და გამონათქვამები იძლევა საშუალებას შეიქმნას მეტ-ნაკლებად სრული, ცხადი სურათი ანარქისტული ტერორის არსზე.

ანარქისტები, რასაკვირველია, აღიარებენ ტერორის ტაქტიკას და ცდილობენ ის გამოიყენონ კატალიზატორად მასების რევოლუციური აღტკინებისთვის, ასევე რევოლუციური აგიტაციის საშუალებად, მაგრამ არა მიზნის მიღწევის უმთავრეს პირობად. მათთვის ტერორი გამართლებულია, თუ ის პასუხია ძალმომრეობაზე. ტერაქტი უნდა იყოს მხოლოდ ემოციური აღელვების, აფექტის და არა ცივი განსჯის, გააზრებული მოქმედების შედეგი.

ანუ, როცა ანარქისტთა მიერ მკვლელობა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ნიადაგზე ხორციელდება, ის აუცილებლად გამოწვეული უნდა იყოს მისი ფიზიკურ-ფსიქიკური მდგომარეობით.

ერთი სიტყვით, ანარქისტი ტერორისტულ აქტს ჩადის მხოლოდ ღრმა აფექტის მდგომარეობაში, მხოლოდ განცდილ-ნანახი უსამართლობის ფონზე. ანარქისტისთვის ტერორისტული აქტი გამართლებულია მაშინაც, როცა ის თავდაცვის საშუალებაა, ანუ პასუხია იმ ძალმომრეობაზე, რომელსაც ახორციელებს კონკრეტული სახელმწიფო მოხელე, ან მთლიანობაში, სახელმწიფო სისტემა.

გამომდინარე აქედან, სხვა პარტიებისაგან განსხვავებით, ანარქისტებისთვის, კატეგორიულად მიუღებელია გააზრებული, კონტროლს და ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ტერორი.

ანუ ტერორი, რომელიც ცენტრალიზებულ, დაგეგმილ, ორგანიზებულ ხასიათს ატარებს, რადგან ის როგორც წესი, მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციას, დისციპლინას, ასევე ბელადებს, რომლებიც გეგმავენ ამა თუ იმ აქტს და ირჩევენ შემსრულებლებს. ყველაფერი ეს კი, ანარქისტებისთვის, არაეთიკურთან ერთად, გარკვეულწილად სახელმწიფო სისტემის ნიშნებს ატარებს, რაც საწყისშივე მიუღებელია მათთვის.

ერთი სიტყვით, ანარქიზმი რასაკვირველია, არ გამორიცხავს ძალდატანებითი საშუალებების გამოყენებას, როცა ისინი აუცილებელია ადამიანთა გასათავისუფლებად, მაგრამ მისგან არ ქმნის სისტემას, არ აქცევს მას იდეოლოგიის ნაწილად.

დასკვნა

ასე რომ, ანარქისტული ტერორის, როგორც განსხვავებული ფენომენის სრულფასოვანი შესწავლისათვის, როგორც ჩემეული მოსაზრებები, ასევე გამოყენებული წყაროები გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. აქ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენენ როგორც ანარქისტის ფსიქოტიპს, ასევე ანარქისტული ტერორის ფენომენს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gaz. „tsis nami“ . (1908). nomeri 1. tbilisi

გაზ. ,,ცის ნამი“. 1908. ნომერი 1. თბილისი.

guruli, v., 1993. egzarkhos nikonis mkvlelebi. zhur, „religia“ . nomeri 1. tbilisi

გურული, ვ., 1993. ეგზარხოს ნიკონის მკვლელები. ჟურ. ,,რელიგია“. ნომერი 1. თბილისი.

Гогелия, Г. (1903). К харастерике нашей тактики. жур. *,,Хлеб и воля”.* Москва.

gogeliya, G. (1903). K kharasterike nashei taktiki. Reg. *"Khleb i volya"*.Moskva.

Zabrezhnev, V., (1907). Russian revolution and anarchy. Tbilisi.

Забрежнев, В., (1907). Русская революция и анархизм. Тбилиси.

Laker, I., (1979). Istoriya terisomisa. Moskva

Лакер, И., (1979). История терроризма. Москва.

fondi 94, Sakartvelos tsentraluri sakhelmtsipo saistorio arqivi, sakme 306, furts. 7. (ფონდი 94, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, საქმე 306, ფურც. 7).

fondi 394, Sakartvelos tsentraluri sakhelmtsipo saistorio arqivi, sakme 202, furts. 10. (ფონდი 394, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, საქმე 202, ფურც. 10).

fondi 94, sakartvelos tsentraluri saxelmtsifo saistorio arkivi, sakme 287, furts. 165. (ფონდი 94, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, საქმე 287, ფურც. 165.)

fondi 94, sakartvelos tsentraluri sakhelmtsipo saistorio arqivi, sakme 306, furts. 369. (ფონდი 94, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, საქმე 306, ფურც. 369).